საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/84 "26" ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

თ. სიხარულიძის გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №1/35 განკარგულებით ინიცირებულ იქნა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ სასამართლოში მოსამართლის 7 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 5 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 3 მოსამართლის, მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის - თეიმურაზ სიხარულიძის განაცხადი. თ. სიხარულიძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 21-წლიანი გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს, ადიგენის რაიონულ, ქუთაისის სააპელაციო და ფოთის საქალაქო სასამართლოებში. 2020 წლის 10 ივნისიდან თ. სიხარულიძე დანიშნულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ, თუმცა იგი ჯერ არ შედგომია მისთვის გადაცემულ საქმეთა არსებით განხილვას. მისი გამოცდილების, სამოსამართლო სტაჟისა და გასაუბრების დროს მის მიერ მითითებული სამუშაო ადგილის შეცვლის დასაბუთების საფუძველზე, მას აქვს შესაბამისი უნარი და მოტივაცია გააგრძელოს მუშაობა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, თეიმურაზ სიხარულიძე გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, 2020 წლის 1 ივლისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი